ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4251265

ნომერი: AR1641359

თარიღი : 01.11.2018

გაცემის თარიღი : 06.11.2018

გაცნობის თარიღი : 06.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ იაგორაშვილი პ/ნ 01017001188
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 19/9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- გაურკვეველია თვენი მოთხოვნა დროებითი დანადგარის განთავსებასთან დაკავშირებით, რადგან სამსახურში პარალელურად ფიქსირდება 2018 წლის 03 ნოემბრის AR1641589 განცხადება მაღაზიის მშენებლობასთან დაკავშირებით რომელიც გენ-გეგმის მიხედვთ უნდა განთავსეს ამჟამად წარმოდგენილი დროებით დანადგარის (კონტეინერის) განთავსების ადგილას. საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით დააზუსტოთ მოთხოვნა.
- იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კონტეინერი წარმოადგენს საპროექტოდ გათვალისწინებული მაღაზიის მშენებლობისთვის განკუთვნილ დროებით შენობა-ნაგებობას გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო შენობა-ნაგებობების მოწყობას, რის შესაბამისადაც სამსახური ამ პროექტისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი შენობა-ნაგებობის მოწყობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით დასტურს.

სხვა შემთხვევაში წარმოადგინეთ :

- განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.
- ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, აგლაძის ქ. N47-ში (ს. კ. N01.13.05.003.142) უნებართვოდ განთავსებული კაპიტალური შენობობა-ნაგებობის გამო შ.პ.ს. ,,თენა"-ს მიმართ 2018 წლის 21 სექტემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაიცა N004068 მითითება, შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და განახლებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათები.
- სამსახურის მიერ 25/10/2018წლის № 4233537 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ღობისა და წიშკრის მოწყობა შესაბამისად საჭიროა ფოტომონტაჟიდან ამორებული იქნას აღნიშნული სამუშაოები.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.